



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო სამართალი, სამაგისტრო პროგრამა

GIPA– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღი(ებ): 25/01/2023

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	10
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	20

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ააიპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
ინსტიტუტის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა კლებეს-პელისიერი სტრასბურგის უნივერსიტეტი, საფრანგეთი.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა გორდეზიანი, დამსაქმებელი ექსპერტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, განათლების ექსპერტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ხუბულია, სტუდენტი ექსპერტი

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საერთაშორისო სამართალი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	International Law
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საერთაშორისო სამართლის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	-

²უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA - დაარსდა 1994 წელს), სამართლისა და პოლიტიკის სკოლის მიერ, ხორციელდება 2006 წლიდან. ის დაკავშირებულია უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის გაერთიანებასთან. ეს იყო GIPA-ს პირველი ინგლისურენოვანი პროგრამა. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა მიმართულებით და ავითარებს სამართლებრივი კაზუსების შეფასებისა და ანალიზის უნარს. პროგრამა ასევე შექმნილია იმისათვის, რომ მოამზადოს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე რამდენიმე ორგანიზაცია და პოტენციური დამსაქმებელი და სხვა დაინტერესებული მხარე, აქტიურად იყო ჩართული სამაგისტრო პროგრამის კონცეფციასა და შემდგომ განვითარებაში. ფაქტობრივად, პროგრამის შემქმნელებმა დიდწილად გაითვალისწინეს დასაქმების ბაზრის საჭიროებები და მოთხოვნები, სადაც საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა იურისტებზე, რომლებსაც შეუძლიათ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია, მუშაობა და სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენა. შესაბამისად საერთაშორისო სამართლის ინგლისურ ენაზე სწავლება მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარზე, საჯარო თუ კერძო სექტორში, კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები არიან. უნივერსიტეტის მერე ჩატარებული უახლესი გამოკითხვის თანახმად, კურსდამთავრებულთა 89 პროცენტი დასაქმებულია. სამაგისტრო პროგრამა ორწლიანია და შედგება 4 სემესტრისგან. სტუდენტმა უნდა დააგროვოს სულ მცირე 120 კრედიტი.

პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და მის სტრატეგიას. პროგრამა სტუდენტებს ასევე სთავაზობს, მაღალკვალიფიციურ ხელმძღვანელებს. პროგრამის პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციები და მათი რაოდენობა სათანადოდ დაბალანსებული ჩანს მოსალოდნელი სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად და აკმაყოფილებდეს სამართლებრივ მოთხოვნებს. სასწავლო / სამეცნიერო / მოწვეული პერსონალი საკმაოდ ცნობილია ეროვნულ სასწავლო და პროფესიულ გარემოში. ამას მოაქვს საკმაოდ წარმატებული პრაქტიკული და პროფესიული გამოცდილება, რაც ხელს უწყობს პროგრამის მიმდინარე ინოვაციის პროცესს. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2020 წელს, რის შედეგადაც მიიღო ორწლიანი პირობითი აკრედიტაცია. აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამამ

⁴პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც შინაარსობრივი ასევე სტრუქტურული კუთხით (თვითშეფასების ანგარიში). გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს ძლიერი საერთაშორისო პარტნიორობის პოლიტიკა და იყენებს მას სადოქტორო პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 იანვარს. მოეწყო სხვადასხვა საჭირო შეხვედრა, დაწყებული უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან, სამართლის სკოლის დეკანიდან, თვითშეფასების ჯგუფიდან, რასაც მოჰყვა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულთან, დამსაქმებლებთან, ისევე, როგორც ფაკულტეტის / ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ბიბლიოთეკა. უზრუნველყოფილი იყო ონლაინ რეჟიმში კვლევითი დოკუმენტების მოძიების შესაძლებლობის დემონსტრაცია. სხვადასხვა ჩატარებული ინტერვიუდან მივიღეთ ყველა საჭირო ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის ორგანიზების თაობაზე (სტუდენტების ხელმძღვანელობის ინოვაციური, მაღალი დონე); აკადემიური / სამეცნიერო კადრების, ისევე, როგორც პროფესიონალთა / დამსაქმებელთა ხელმისაწვდომობა. გასაუბრებებმა გამოავლინა სამაგისტრო სწავლების ორგანიზების სერიოზულობა და ინოვაციური მიდგომა, ასევე პროგრამის დამატებითი ღირებულება, კერძოდ კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს არის ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და ასევე იმიტირებულ სასამართლოებს. ამ პროგრამაში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი და მათი კურირება ხდება რეგულარულად. სწავლების/კვლევის წარმართვისა და ხელმძღვანელობის მეთოდი სრულად შეესაბამება საზოგადოების ევოლუციის სწავლების /კვლევის წარმართვის / ხელმძღვანელობის ტრადიციული მეთოდის საჭირო ადაპტაციას და ადგილობრივი, ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები ძალიან მკაფიოდ აყალიბებს, აღწერს და აზუსტებს ცოდნას და უნარებს, რომელიც კურსდამთავრებულს ექნება.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მიუხედავად ჩვენი რჩევებისა, ვფიქრობთ, რომ GIPA-ს სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებას საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ სტანდარტებს. ყველა დოკუმენტის გაანალიზების, ყველა შეხვედრაში მონაწილეობის მიღებისა და დაწესებულების მონახულების შედეგად, ჩვენი შთაბეჭდილება ძირითადად დადებითია. ზოგადად, სამაგისტრო პროგრამა იძლევა ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც მომავალ მაგისტრანტებს სჭირდებათ და უზრუნველყოფს მათთვის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. ჩვენი აზრით, პროგრამა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია აკადემიურ პროგრამებზე, სასწავლო დატვირთვაზე და სასწავლო კურსების მიზანზე, სწავლება-სწავლის მეთოდებზე, ლიტერატურაზე, შეფასებაზე და სასწავლო კალენდარზე.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფს დადებითი შთაბეჭდილება რჩება პროგრამის შინაარსზე, სტრუქტურასა და თავსებადობაზე, ასევე აკადემიურ და პროფესიონალურ მოთხოვნებზე. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები სათანადოდ არის

განსაზღვრული. დადებითი შეფასება ასევე ვრცელდება GIPA-ს მთელს სტრატეგიაზე პროგრამასთან მიმართებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროგრამა ისეა მოწყობილი, რომ დაკავშირებული იყოს პროფესიულ ცხოვრებასთან. პროგრამის მთავარი მიზანი და გამიზნული სწავლის შედეგები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, რომ მიიღონ აუცილებელი სამართლებრივი კომპეტენციები და უნარები, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას შეასრულონ პრაქტიკული იურიდიული სამუშაო როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კიდევ ერთი სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით, ხარისხი დგას რაოდენობაზე მაღლა, რაც წარმატებით ხორციელდება რეალობაში. ასევე საჭიროა ვახსენოთ რეგულარული შეფასებები/შეხვედრები (შიდა და პროფესიონალებთან), რომლებიც მიზნად ისახავს ცვალებადი ბაზრის შემოწმებასა და პროგრამის შესაბამისად ადაპტირებას.

დაბოლოს, სასწავლო რესურსები (ადამიანური რესურსები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება, მატერიალური რესურსები, ბიუჯეტი) შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სამომავლო განვითარებას.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, დეტალურად გაიწეროს და საჯაროდ გამაქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ვადების შესახებ, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის(ების) თაობაზე და ინფორმაციის განთავსების გონივრულ ვადებზე, და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ეს უნდა განთავსდეს ვებგვერდზე.
- იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს აქტიური პრაქტიკა, გაძლიერდეს კავშირები პროგრამის შესაბამის ორგანიზაციებთან და გაფორმდეს მემორანდუმები დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შერჩევის წინაპირობებსა და წესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ორგანიზაცია თავად შეარჩევს სტუდენტებს; ასევე განისაზღვროს შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების მინიმალური რაოდენობა და სახეობა.
- უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩაიწეროს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი აკადემიური პერსონალისა და პირის წახალისება მოხდება სამოტივაციო და წამახალისებელი მექანიზმებით და დეტალურად აღიწეროს განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცესი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს და განვითარდეს პროგრამის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონკრეტულ ხილვადობა, GIPA-მ უნდა განაგრძოს მუშაობა არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა პროგრამის განვითარებისთვის; საერთაშორისო

პარტნიორობის განმტკიცება გეოგრაფიულ და სტრატეგიულ საფუძველზე. ამან, ასევე, შეიძლება ხელი შეუწყოს პროგრამის მიმზიდველობის ზრდას.

- ამ კუთხით, გაიზარდოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის განკუთვნილი საერთაშორისო პროექტების რაოდენობა, უსდ-მ განაგრძოს საერთაშორისო კონფერენციების, ისევე როგორც კვლევითი საქმიანობის და ა.შ., რეგულარული განხორციელება,
- ასევე სასურველია, უსდ-მ მომავალში უზრუნველყოს, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ, რეგულარული სამეცნიერო პროდუქტის შექმნა.
- ხელი შეეწყოს საერთაშორისო მობილობის უფრო მეტად გამოყენებას, ანუ პროგრამის სტუდენტებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების უფრო მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.
- პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო/ადგილობრივ/სამეცნიერო ღონისძიებებში;
- იმისათვის, რომ უფრო თავისუფლად და შეუფერხებლად აირჩიოს მაგისტრანტმა სამაგისტრო ნაშრომის თემა, რეკომენდებულია, გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა.
- უზრუნველყოფილი იყოს, სამართალთან დაკავშირებული ყველა მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა, მაგალითად hein-onlin და lexisnexis.
- სამომავლოდ პროგრამის მიზნების ეფექტურობის ხელშეწყობისთვის გაიზაროს ბიუჯეტი.
- შემუშავდეს უფრო პროაქტიური საკომუნიკაციო/მარკეტინგული/საჯარო პოლიტიკა ბიუჯეტთან მიმართებაში, რათა უსდ უფრო განვითარდეს და გახდეს მეტად კონკურენტული რეგიონულ და საერთაშორისო ბაზარზე.
- უმჯობესი იქნება, თუკი დასკვნითი გამოცდის გადასალახი ზღვარი უფრო მაღალი იქნება.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
 1. GIPA ხედავს აუცილებლობას, რომ მოამზადოს კანდიდატები შრომის ბაზრისთვის.
 2. მოწვეული და აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული და იღებს საჭირო მხარდაჭერას ადმინისტრაციისგან, რომელიც ასევე ძალიან აქტიურია.
- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

⁵პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- N1 რეკომენდაციასთან (2.1) მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არგუმენტირებული პოზიცია არ იყო ამომწურავი და დამაჯერებელი.
- N2 რეკომენდაციასთან (2.2) მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უსდ დაეთანხმა ექსპერტებს, რომ GIPA იჩენს სურვილს, განაგრძოს ამ მიმართულებით გაუმჯობესება, თუმცა მოწოდებული ინფორმაცია იყო მეტად ზოგადი და არ იყო დამაჯერებელი.
- N3 რეკომენდაციასთან მიმართებით (4.3), ექსპერტთა ჯგუფმა შეასწორა ტექნიკური ხარვეზი, სადაც რეკომენდაცია რჩევად იყო ნახსენები და კვლავ მიიჩნევს, რომ ეს რჩევა რეკომენდაციად.
- ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უსდ-ს მოსაზრებას N4 (4.1) რეკომენდაციასთან მიმართებით.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციების შესაბამისად, ორწლიანი პირობითი აკრედიტაციის შემდეგ, ცვლილებები განხორციელდა, გაძლიერდა კურსები საერთაშორისო სამართალში და დაინერგა მთავარი კლასტერები (ევროპული სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართალი, ასევე საერთაშორისო სისხლის სამართალი, შედარებითი სამართალი - გახდა არჩევითი).

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის პირველი ინგლისურენოვანი პროგრამა შეიქმნა 2006 წელს და რეპუტაცია მოიპოვა ქართულ საზოგადოებაში.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნახსენები, პროგრამის მიზანია კომპეტენტური სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო სამართლის დარგში, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, შემდეგენ დარგის დინამიურ მოთხოვნებზე რეაგირებასა და წვლილს შეიტანენ მის განვითარებაში. პროგრამა ამზადებს მომავალ პროფესიონალებს, სიღრმისეული თეორიული ცოდნითა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარით. ამის გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც პროგრამა უზრუნველყოფს მის კურსდამთავრებულებში და ხელს უწყობს კურსდამთავრებულების ჩართულობას დარგისა და საზოგადოების განვითარების პროცესში.

პროგრამა ასევე კონცეპტუალურად შეესაბამება უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს: საგანმანათლებლო საქმიანობა, კვლევითი საქმიანობა და ინტერნაციონალიზაცია.

უნივერსიტეტში დასაქმებულია საგულდაგულოდ შერჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც კარგი განათლება და, ასევე, ფართო პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია სათანადო სფეროში. პროგრამა ეხმარება საერთაშორისო სამართლის იურიდიულ სფეროში არსებულ გამოწვევებს და მიმდინარე მოვლენებს. შესასწავლი საკითხები, მაგალითად დისერტაციებში, შეირჩევა იმ თემების ასახვისა და განხილვის მიზნით, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მიმდინარე მოვლენებთან და პრობლემატურია

საერთაშორისო სამართლის იურიდიულ სფეროში. პროგრამა შეესაბამება GIPA-ს მისიას, მის მიზნებსა და სტრატეგიას, უზრუნველყოფს ინოვაციურ განათლებას; იურიდიულ ბაზარზე ორიენტირებულ, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებას.

პროგრამას აქვს ლოგიკური და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სტრატეგია და ალბათ ეს არის ის პუნქტიც, რომელიც უნდა აღინიშნოს: მიღწეული თეორიული და პრაქტიკული სამაგისტრო განათლება, რომლის რეალურად გამოყენებაც შესაძლებელია საზოგადოებისთვის და რომელსაც შედეგად მოაქვს დასაქმება.

თუკი შედარებითი მიდგომა, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანი, მიღებულია პროგრამის დანერგვისა და ადაპტირების დროს, რათა ხაზი გაესვას სამაგისტრო პროგრამის ინოვაციურ ასპექტს, მაშინ იგი მეტად უნდა იყოს დაკავშირებული დაწესებულების საერთაშორისო სტრატეგიასთან. თუკი ასეთი კავშირი უკვე არსებობს, მაშინ ის უნდა გაუმჯობესდეს.

ასეთი მიდგომა ასევე დაგეხმარებათ პროგრამის საერთაშორისო/რეგიონული ხილვადობისა და მიმზიდველობის გაზრდაში, რომ მოიზიდოთ მეტი საერთაშორისო სტუდენტი, რამეთუ, როგორც გასაუბრებისას აღნიშნა, გაცვლითი სტუდენტების მიზანი სამომავლოდ ხუთი იქნება. თუკი პროგრამა ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ქართველი სტუდენტების დასაქმებაზე, სამომავლოდ შეუძლია განვითარდეს და მეტად მიმზიდველი იყოს, პირველ რიგში, რეგიონულ ბაზაზე. ამ მხრივ, GIPA-ს შეუძლია არსებული პროგრამების გამოყენება, ისეთებზე დასაშენებლად, როგორც მაგალითად არის უკვე არსებული ერთობლივი პროგრამა მოსამართლეთა განაჩენებზე (ან ტემპუსის პროგრამა, რომელიც ორჯერ გახანგრძლივდა); ასევე, შეუძლია მოიწვიოს მეტი საერთაშორისო მკვლევარი (ამის მაგალითი უკვე არსებობს, გერმანიიდან და ნიდერლანდებიდან); მოიწვიოს პროფესიონალები საერთაშორისო დაწესებულებებიდან.

ეს თავისთავად ნიშნავს, რომ გაითვალისწინოთ ბიუჯეტის ზრდა, რათა კიდევ უფრო ცნობადი გახადოთ პროგრამის დამატებითი ღირებულება.

რომ შევაჯამოთ, პროგრამას უკვე აქვს მაღალი პოტენციალი და ახლა საჭიროებს უფრო პროაქტიურ საკომუნიკაციო/მარკეტინგულ/საჯარო პოლიტიკას ბიუჯეტთან მიმართებაში, რათა უფრო განვითარდეს და გახდეს მეტად კონკურენტული რეგიონულ და საერთაშორისო ბაზარზე. შეიძლება საინტერესო იყოს ევროპულ / საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის პროცესისათვის მიმართვა, როგორც იქნა შემოთავაზებული, მაგალითად, EUA-ს (ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია) მიერ. ამგვარი ინიციატივა, ასევე, შეუწყობს ხელს ეროვნულ და საერთაშორისო ხილვადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან;
- გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

GIPA-ს საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ავითარებს სტუდენტების შესაბამის კომპეტენციებს. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით და დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და პროგრამის შემუშავებაში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, ჩამოყალიბდა ზემოთხსენებული სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები (ცოდნა და ცნობიერება/უნარები/ პასუხისმგებლობა და ავტონომია, რაც როგორც ძალიან მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თვითშეფასების პროგრამაში), რომლებიც შედგა ე.წ. «ბლუმის საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიის» მიხედვით. ეს შედეგები გაზომვადია,

რეალისტური და მიღწევადი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დისკუსიამ ასევე ნათლად აჩვენა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ადაპტირების უნარი, როცა საქმე ეხება საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწავლის შედეგებთან მიმართებაში გათვალისწინებულია ნებისმიერი სახის ევოლუცია, ამ სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტი დამატებითი ღირებულება (შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაციის კოლექტიური გაზიარება/ლექციების ადაპტირება/სემესტრების ადაპტირება: სამართლებრივი კვლევის მეთოდების ხელახალი კონცეპტუალიზაცია).

ეს სწავლის შედეგები ასევე შეესაბამება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც ასევე წარმოადგენს დამსაქმებლებთან რეგულარული კომუნიკაციის შედეგს. ამ მხრივ, გასაუბრების დროს მკაფიოდ აღინიშნა, რომ თუკი სხვადასხვა დარგში ამოცანების მიღწევა GIPA-ს სხვა კურსდამთავრებულების მიერაც არის შესაძლებელი, სწავლის შედეგებისა და ინგლისური ენის კომბინაცია, ხშირად გამხდარა გადამწყვეტი მნიშვნელობის GIPA-ს საერთაშორისო სამართლის მაგისტრანტების დასაქმებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების შემუშავებისას, ქართული და უცხოური პროგრამების პრაქტიკა იქნა მხედველობაში მიღებული, რაც ასევე ლოგიკურ ბმაშია იმ ფაქტთან, რომ პროგრამა შეიქმნა შედარების საფუძველზე, რამეთუ გაითვალისწინეს როგორც ქართული, ისე უცხოური პროგრამები. სწორედ ამიტომაც, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებით, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს კვლევას, კვლევითი უნარები ასევე დიდწილად არის ხაზგასმული: ცალკე სემესტრი ეთმობა კვლევის კომპონენტზე მუშაობას; ხოლო სადიპლომო ნაშრომზე მუშაობას წინ უძღვის კვლევის მეთოდების კურსი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, და უფრო ზოგადი თვალსაზრისით, პროგრამის სწავლის შედეგები საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს იყოს კონკურენტუნარიანი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სწორედ ამიტომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, (როგორც ზემოთ აღინიშნა ანგარიშში) შეიმუშაოთ უფრო «აგრესიული» საკომუნიკაციო/მარკეტინგული სტრატეგია, მაგრამ ასევე ხელი შეუწყოს პროგრამის შემდგომ განვითარებას, რათა მან უფრო სტრატეგიულად უპასუხოს პროგრამის საერთაშორისო ღირებულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- შესაბამისი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➤ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. ეს მექანიზმები მოიცავს პირდაპირ და ირიბ მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედეგადად სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.

სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პირდაპირი მეთოდების ფარგლებში გამოიყენება სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე მუდმივი მონიტორინგი (სემესტრული), გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამას შემუშავებული აქვს თითოეული სწავლის შედეგის დარგის მახასიათებლებზე დაფუძნებული სამიზნე ნიშნულები, როგორც სასწავლო კურსებიდან, ისე კვლევითი კომპონენტიდან. ამგვარად, სამიზნე ნიშნულები მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც იძლევა სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის განსაზღვრის შესაძლებლობას. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად, გამოიყენება პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა, სადაც თითოეული სავალდებულო (სავალდებულო არჩევითი) საგანი, რომელიც გადის

პროგრამის შედეგზე, წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში, ნაჩვენებია რომელი საგნის სწავლება რომელ სწავლის შედეგზე გადის. საგნები დაყოფილია სამ დონედ: ა) შესავალი კურსები (I -შესავალი); ბ) განვითარება/პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსები (D- განვითარება/პრაქტიკა); გ) დახელოვნებაზე ორიენტირებული კურსები (M- დახელოვნება). პროგრამის შედეგების შეფასებისთვის, თითოეული საგანი პროგრამის შედეგებთან მიმართებით არის წარმოდგენილი. თუკი რომელიმე საგნის სწავლა კონკრეტულ შედეგზე გადის, ერთი ან მეტი შედეგის ინდიკატორი -I, D,M ან ხსენებული შედეგის ინდიკატორების კომბინაცია მოცემულია საგნისა და შედეგის გადაკვეთის ველში. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, დარგის მახასიათებლის შესაბამისი პერიოდულობით.

თვითშეფასების ანგარიში, ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგების ანალიზი და გასაუბრების შედეგები მიაწოდებს იმაზე, რომ დაინტერესებული მხარეები ჩართულნი არიან სწავლის შედეგების შეფასებაში.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლის სფეროს მახასიათებლებსა და განათლების საფეხურს. იგი იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებსა და მეთოდებს (როგორც პირდაპირ, ისე ირიბ შეფასების მეთოდებს), რაც შესაძლებელს ხდის იმის განსაზღვრას, თუ რა დონეზე მიაღწია სტუდენტმა სწავლის შედეგებს. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ეს ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების მოდიფიცირება და განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგების შეფასება მექანიზმი;
- სამიზნე ნიშნულები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები;
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორი წლიანია და მოიცავს ოთხ სემესტრს. შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად, სტუდენტმა უნდა დააგროვოს სულ მცირე 120 კრედიტი. სამაგისტრო პროგრამა შემუშავებული საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალიზმს. პროგრამის სტრუქტურა შეიცავს სავალდებულო კურსებს, არჩევით კურსებს და კვლევით კომპონენტს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ, მაგისტრის კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, 120 კრედიტიანი მოცულობით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამა სტუდენტებს 27 საგანს სთავაზობს. აღნიშნული საგნიდან 6 სავალდებულოა პირველ და მეორე სემესტრებში (36 კრედიტი). მეორე სემესტრი დაყოფილია თემატურ ბლოკებად და მოიცავს 9 სავალდებულო არჩევით საგანს. მესამე სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ პროგრამით განსაზღვრული ნებისმიერი 12 არჩევითი საგანი (თვითშეფასების ანგარიშის გვ.16-17).

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით (დოკუმენტის დასახელება: „საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესი/პროცედურები“).

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია. პროგრამის სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფილია შინაარსის ლოგიკური განვითარება. მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს სტუდენტების კვალიფიკაციის მიღწევას საერთაშორისო სამართალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სამართლის ეროვნული დარგობრივი მახასიათებელი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➤ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით

განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➤ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშში და შესაბამის დოკუმენტებშია აღნიშნული, საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს როგორც ღრმა თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას და აუცილებელ უნარებს. ის განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც ხელმძღვანელობს პროფესიული ეთიკითა და პასუხისმგებლობით. თითოეული სასწავლო კურსი საკმაოდ ნორმალურად არის ორგანიზებული სემესტრებისა და წლების მიხედვით, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმის რუკა ამ მხრივ საკმარისად მკაფიოა. პროგრამის და კურიკულუმის სტრუქტურა ასევე ასახავს პროგრამის მიზნებს.

საერთაშორისო საჯარო სამართლის მიდგომა მოიცავს მისი სწავლების კლასიკურ ხერხს:

- ზოგადი საერთაშორისო სამართალი, მათ შორის საერთაშორისო სამართლის წყაროები, სახელმძღვანელო საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი; იურიდიული უნარები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში;
- საერთაშორისო სავაჭრო სამართალი, საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი, საერთაშორისო სისხლის სამართალი, საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალი, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, საერთაშორისო საკუთრების სამართალი;
- საერთაშორისო კერძო სამართალი, მათ შორის კერძო საერთაშორისო სამართლის პრაქტიკული ასპექტები.

ევროპული სამართალის ბლოკი ასევე მოიცავს ყველა საჭირო ასპექტს: ევროკავშირის შიდა ბაზრის კანონი და თავისუფლება, უსაფრთხოება და სამართლიანობა.

პროგრამის სტრუქტურა ასევე ორიენტირებულია საერთაშორისო პრაქტიკის აქტუალურ ასპექტებზე და საერთაშორისო სამართლის გამოწვევებზე. ეს არის პროგრამის მთელი ორგანიზაციის ძალიან პოზიტიური ასპექტი, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას და ამ მხრივ სხვადასხვა ლექციები უნდა აღინიშნოს:

- ძალის გამოყენება და აგრესიის აკრძალვა
- თანამედროვე გამოწვევები საერთაშორისო სამართალში
- საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციების კანონი და მათი პრაქტიკა საქართველოსთან დაკავშირებით

- საერთაშორისო უნივერსალური ორგანიზაციების კანონი და მათი პრაქტიკა საქართველოსთან დაკავშირებით

სტუდენტთა მონაწილეობა ცნობილ საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლოებში (Philipp C Jessup/Telders International/Willem C VIS საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი) ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც საერთაშორისო სამართლის პრაქტიკული მიდგომა.

ინგლისური სამართლის მიმართულებით და კვლევის მეთოდები წარმოადგენს ამ ზოგად სასწავლო საფუძველს თეორიასა და პრაქტიკაში.

კრედიტების მინიჭება შეესაბამება ამ მხრივ არსებულ სტანდარტებს, გამომდინარეობს კურსის შინაარსისა და საგანმანათლებლო პროცესის წესებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი ადაპტირდა ორწლიანი პირობითი აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების მიზნით. ასევე შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლექციების მიმზიდველობის და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, კოლეგიალური პროცესიც მიმდინარეობს და მიღებულია პერსონალში. ეს ასევე ნიშნავს ეფექტურ კოორდინაციას აკადემიურ პერსონალს/მოწვეულ პერსონალსა და ადმინისტრაციას შორის, რათა უზრუნველყოს პროგრამის მაღალი ხარისხი, მიმზიდველობა, ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა;
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა დადგენილია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მართვის წესის პირველ თავში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის N18/02 გადაწყვეტილებით. საერთაშორისო სამართლის პროგრამის აღწერითი ნაწილი ასევე ხაზს უსვამს ამ საკითხს.

საგანმანათლებლო პროცესის მართვის წესის პირველი თავისა და საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 მუხლის თანახმად, საერთაშორისო სამართლის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სამართლის დარგში;

2. საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

3. შიდა პროცედურების გავლა, რომლებიც მოიცავს შემდგომ ეტაპებს:

ა) სტუდენტის განაცხადის ანალიზს;

ბ) ინგლისურ ენაში (B2 დონეზე) გამოცდის ჩაბარება; ან ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენა (TOEFL, IELTS); და

გ) გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში, რომელიც მიზნად ისახავს განმცხადებლის ცოდნის შეფასებას არჩეულ სფეროში და განმცხადებლის უნარების შესაბამისობის დადგენას.

სტუდენტთა ჩარიცხვა საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, შესაძლებელია იმ განმცხადებლებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების/სტუდენტების დოკუმენტაციის განხილვისა და განაცხადების პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგულების მე-2 მუხლის მეორე პუნქტით.

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამაზე დაშვების ზოგადი წესი, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2018 წლის N18/02 გადაწყვეტილებით. ეს წესი არეგულირებს სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების შიდა საუნივერსიტეტო პროცედურებს. ხსენებული მუხლი არ ითვალისწინებს გამოცდის ორგანიზების პროცედურებსა და მექანიზმებს და შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობას.

ამ წესის პუნქტი 3.3, იძლევა დამატებითი გამოცდის ჩანიშვნის შესაძლებლობას (ინგლისურ ენაში და/ან სპეციალობაში) ინდივიდუალურ შემთხვევებში, თუმცა იგი არ იძლევა მკაფიო პროცედურას აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯაროობისთვის. წარმოდგენილი წესის 3.8 და 3.9 პუნქტები ითვალისწინებს მხოლოდ კონკრეტულ ვადას და ინფორმაციის მიღებას წარმატებული განმცხადებლების სასურველ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია საერთაშორისო სამართლის პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაცია საგამოცდო თემების/ტესტების შესახებ და სტუდენტების ცოდნის შეფასების კრიტერიუმებიც ზოგადია.

გასათვალისწინებელია, რომ ვიზიტის დროს, უნივერსიტეტმა ხაზი გაუსვა ყოველწლიური ღია კარის დღის პროცედურებს, სადაც აბიტურიენტებს ეძლევათ შესაძლებლობა შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და მის განხორციელებაში მონაწილე პირებს. აბიტურიენტების ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული ინფორმაცია, კერძოდ, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ფორმის, შინაარსისა და სპეციფიკური შეფასების კრიტერიუმების შესახებ, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ვებგვერდზე, მეტი გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს No. 18/02 გადაწყვეტილებით;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, დეტალურად გაიწეროს და საჯაროდ გამაქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ვადების შესახებ, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის(ების) თაობასა და ინფორმაციის განთავსების გონივრულ ვადებზე, და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ეს უნდა განთავსდეს ვებგვერდზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	+	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების მე -3 სემესტრში, პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო პრაქტიკას 15 ECTS კრედიტით, რომელიც ხორციელდება შესაბამისი სილაბუსის მიხედვით. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ ხელი მოაწერა ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმს, როგორიცაა:

გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი - მემორანდუმი თარიღდება 2020 წლის 17 ნოემბრით, რომელიც მოქმედებს ხელმოწერისთანავე, თუმცა არ ითვალისწინებს

მოქმედების კონკრეტულ ვადას; მემორანდუმის 2.9 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტი სამართლის სტუდენტების პროფესიული ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს სტუდენტთა წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის პრაქტიკულ სწავლებას ორგანიზაციაში (ერთდროულად არაუმეტეს ხუთი სტუდენტი); ორგანიზაცია შეარჩევს კანდიდატებს საკუთარი შეხედულებისამებრ.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი - მემორანდუმი არ არის დათარიღებული, მემორანდუმში ნათქვამია, რომ თანამშრომლობა ძალაშია ხელმოწერისთანავე, თუმცა დოკუმენტი არ ითვალისწინებს მოქმედების კონკრეტულ ვადას; მემორანდუმის 2.9 პუნქტის შესაბამისად, სამართლის სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის პრაქტიკულ სწავლებას (ერთდროულად ორი სტუდენტი), ორგანიზაცია სტუდენტებს შეარჩევს საკუთარი გადაწყვეტილებით;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - თარიღდება 2022 წლის 19 სექტემბრით, ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია სამი წლის განმავლობაში; მემორანდუმის 2.9 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლის სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, იგი ითვალისწინებს ორგანიზაციაში სტუდენტების წინასწარ შეთანხმებული გონივრული რაოდენობის პრაქტიკას/სტაჟირებას (არაუმეტეს სამი სტუდენტი ერთდროულად), პრაქტიკის/სტაჟირების ხანგრძლივობა 6 თვეა. პრაქტიკისთვის ორგანიზაცია სტუდენტებს საკუთარი გადაწყვეტილებით შეარჩევს.

თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი - მემორანდუმი დათარიღებულია 2022 წლის 12 სექტემბრით, რომელიც ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს სამი წლის განმავლობაში, მემორანდუმის 2.9 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლის სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციაში წინასწარ შეთანხმებული გონივრული რაოდენობის სტუდენტების პრაქტიკას/სტაჟირებას (ერთდროულად არაუმეტეს ხუთი სტუდენტი), პრაქტიკის/სტაჟირების ხანგრძლივობა 6 თვე. პრაქტიკისთვის ორგანიზაცია სტუდენტებს საკუთარი გადაწყვეტილებით შეარჩევს.

იურიდიული ოფისი MKD - 2022 წლის 3 ივნისს, ძალაშია 1 წლის ვადით. მემორანდუმი ითვალისწინებს უნივერსიტეტთან თანამშრომლობას მხოლოდ ზოგადად და არ ასახელებს სტუდენტების სტაჟირების შესაძლებლობას, მათ რაოდენობის და შერჩევის მეთოდს.

დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი - მემორანდუმი დათარიღებულია 2022 წლის 15 სექტემბრით, ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. მემორანდუმის 2.9 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლის სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციაში წინასწარ შეთანხმებული გონივრული რაოდენობის სტუდენტების პრაქტიკას/სტაჟირებას (ერთდროულად არაუმეტეს სამი სტუდენტი), პრაქტიკის/სტაჟირების ხანგრძლივობაა მინიმუმ 3 თვე და მაქსიმუმ 6 თვე. პრაქტიკისთვის ორგანიზაცია სტუდენტებს საკუთარი გადაწყვეტილებით შეარჩევს.

ადვოკატი ზაზა სუხიშვილი - მემორანდუმი დათარიღებულია 2020 წლის 16 ნოემბრით, იგი ძალაშია ხელმოწერისთანავე; ორგანიზაციაში სტუდენტების სტაჟირების/პრაქტიკუმების გავლისთვის (არაუმეტეს 5 სტუდენტი წელიწადში) მემორანდუმში მოქმედების კონკრეტული ვადა არ არის მითითებული; .

ააიპ უფლებები საქართველო - მემორანდუმი არ თარიღდება, მითითებულია რომ ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, თუმცა მოქმედების კონკრეტული ვადა არ არის მითითებული; მემორანდუმის 2.9 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლის სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციაში წინასწარ შეთანხმებული გონივრული რაოდენობის სტუდენტების პრაქტიკას/სტაჟირებას (ერთდროულად არაუმეტეს ხუთი სტუდენტი), პრაქტიკისთვის ორგანიზაცია სტუდენტებს საკუთარი გადაწყვეტილებით შეარჩევს.

იურიდიული ოფისი GS Legal - მემორანდუმი დათარიღებულია 2020 წლის 16 ნოემბრით, იგი ძალაშია ხელმოწერისთანავე და არ ითვალისწინებს მოქმედების კონკრეტულ პერიოდს. მემორანდუმის 2.9 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლის სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციაში წინასწარ შეთანხმებული გონივრული რაოდენობის სტუდენტების პრაქტიკას (ერთდროულად არაუმეტეს ხუთი სტუდენტი), პრაქტიკისთვის ორგანიზაცია სტუდენტებს საკუთარი გადაწყვეტილებით შეარჩევს.

აღნიშნული მემორანდუმების ანალიზით ჩანს, რომ მათი უმეტესობა არ ითვალისწინებს სამართლის დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, აქტიური პრაქტიკის განსახორციელებლად უნდა შეირჩეს შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციები, პროგრამის მიზნებისათვის, ხოლო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირობები უნდა განისაზღვროს ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტით (მემორანდუმი, შეთანხმება). ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებს და მოვალეობებს, მათ შორის სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს და ხანგრძლივობას; იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია შეარჩევს სტუდენტებს საკუთარი შეხედულებისამებრ, უნდა აღწერდეს შერჩევის მექანიზმებსა და კრიტერიუმებს, ფორმას, უნივერსიტეტის მიერ პრაქტიკის შემსრულებელი პირების მონიტორინგის/ანგარიშგების მეთოდს და სიხშირეს. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო წესების მარეგულირებელი აქტი, ისევე როგორც პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსი უზრუნველყოფს სტუდენტის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ფორმას, დანართის სახით, მემორანდუმში არ არის მითითებული შესაბამისი დებულება იმ ვალდებულების შესახებ, რომ ორგანიზაციამ უნდა შეავსოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შეფასების ფორმა.

საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციების გათვალისწინებით, ზოგიერთი პარტნიორი ორგანიზაციის შემთხვევაში, პრაქტიკის გავლის რელევანტურობა კითხვებს ბადებს. მაგალითად, პროგრამის მიზნებისთვის ბუნდოვანია, თუ რა პრაქტიკულ უნარებს შეიძენს საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი „უფლებები საქართველოსა“

და იურიდიულ ფირმა GS Legal-ში პრაქტიკული კომპონენტის გავლით. არ არის ცნობილი, იყო თუ არა აღნიშნული ორგანიზაციების ფუნქციონირებისა და მუშაობის არეალი შესწავლილი მემორანდუმის ხელმოწერამდე; გარდა ამისა, მემორანდუმების კონკრეტულ ნაწილში, არის მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს პარნტიორი ორგანიზაციის მიერ ურთიერთობის ერთპიროვნულად გაწყვეტას 30 დღით ადრე წინასწარი ცნობის საფუძველზე, რაც ექვს ბაღებს პრაქტიკული სწავლების სრული რეალიზების კუთხით.

უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს, მხოლოდ ერთ წარმომადგენელს თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტიდან ჰქონდა ვალიდური წერილობითი მემორანდუმი გაფორმებული უნივერსიტეტთან; დანარჩენი დამსაქმებლები არ თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში. თუმცა, მხოლოდ მათ ნაწილს ჰქონდა გამოცდილება პროგრამის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და საკუთარ ორგანიზაციებში დასაქმების კუთხით. მაგალითად, Gulf საქართველოს აქვს ზეპირსიტყვიერი შეთანხმება უნივერსიტეტთან, თუმცა არ აქვს ოფიციალურად გაფორმებული მემორანდუმი ამ ეტაპზე. ამგვარად, საჭიროა მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარება, რათა მოიძებნოს/გამოვლინდეს ისეთი დაწესებულებები, რომლებიც მაქსიმალურად ახლოა პროგრამის მიზნებთან, დაიდოს მათთან თანამშრომლობის დოკუმენტები, მემორანდუმები, რომლებშიც დეტალურად იქნება გაწერილი პირობები პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის, დარგობრივი მახასიათებლების და პროგრამის კვალიფიკაციების შესაბამისად.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ დამსაქმებლებმა, რომელთაც აქვთ შეხება ამ პროგრამის სტუდენტებთან, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებმა ინგლისური ენა იციან მაღალ დონეზე. მათ ასევე აღნიშნეს, რომ დასაქმებული ჰყავთ ამ პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმატებულად ართმევენ თავს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს.

სტაჟირებების გარდა, პროგრამის ინდივიდუალური კომპონენტები უზრუნველყოფს ინტეგრირებულ ფორმას, რათა ხელი შეუწყოს პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამაში შეტანილი საგნების მნიშვნელოვანი წილი, თეორიასთან ერთად, მოიცავს პრაქტიკული უნარების განმავითარებელ შესაძლებლობებს. მაგალითად, სასწავლო კურსის ფარგლებში - შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი - სტუდენტები გამოიმუშავენ ხელშეკრულების შედგენის უნარს, ასევე შეისწავლიან ანალიზისა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იძენენ წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარს, რათა გამოხატონ საკუთარი კვლევის შედეგები, დასკვნები და არგუმენტები ისეთ საგნებში როგორცაა სამართლის ინგლისური/სამართლებრივი წერა/ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი. ამ უნარების გაუმჯობესება ხდება ისეთი სასწავლო კურსებით, როგორებიცაა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი აკრედიტაციისთვის წარდგენილ პროგრამაში შედის ფილიპ ჯესაპის საერთაშორისო სამართლის და Willem C VIS საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული სასამართლოს კურსები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა პრაქტიკული და პროცედურული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსი;
- მემორანდუმები პრაქტიკის მომწოდებელ ორგანიზაციებთან;
- საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლოებში მონაწილეობის დამატატუდებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს აქტიური პრაქტიკა, გაძლიერდეს კავშირები პროგრამის შესაბამის ორგანიზაციებთან და გაფორმდეს მემორანდუმები დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შერჩევის წინაპირობებსა და წესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ორგანიზაცია თავად შეარჩევს სტუდენტებს; ასევე განისაზღვროს შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების მინიმალური რაოდენობა და სახეობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ შესაბამებს მოთხოვნებს
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი აკადემიური განათლების შესაბამის დონეს, სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაზე.

სასწავლო კურსები ტარდება სხვადასხვა ფორმატში, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროგრამისა და თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო მეთოდები და აქტივობები მიზნად ისახავს სტუდენტების ინტერესის მოზიდვას და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ინტერაქციას როგორც პერსონალსა და სტუდენტებს, ისე სტუდენტებს შორის, სტუდენტის მონაწილეობას სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიით და პასუხისმგებლობით და მიმართულია სტუდენტის სხვადასხვა (მათ შორის, კრიტიკული და ანალიტიკური) უნარის განვითარებაზე.

ინდივიდუალური თვითშეფასების მიხედვით, GIPA ჩართული იყო ტემპუსის საგრანტო პროექტში - „ინდივიდუალური საჭიროებების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია“ (ASPIRE). აღნიშნული პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტის 15-მდე თანამშრომელმა, მათ შორის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალმა, გაიარა სპეციალური ტრენინგი ინკლუზიური განათლების მიმართულებით. GIPA ასევე ჩაერთო ERASMUS+ საგრანტო პროექტში „უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა“ (ABC), რომლის ფარგლებში, შემუშავდა შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულები და პროგრამები კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევების მიმართულებით, დაწესებულებამ შეიძინა სპეციალური აღჭურვილობა და გადაამზადა სპეციალისტები. მისასალმებელია აღნიშნული მიმართულების შემუშავება და ინკლუზიის კოორდინატორის არსებობა დაწესებულებაში.

გასაუბრების პროცესში უსდ-მ ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აკონტროლებს სწავლების მეთოდების ხარისხს. ამ კონტროლის პროცესის შეფასებით, სტუდენტების გამოკითხვისა და შეფასების შედეგების მეშვეობით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული სწავლების მოქნილი და განახლებადი მეთოდები და ორგანიზებულად განახორციელა პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ინდივიდუალური თვითშეფასების დოკუმენტი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-2 თავი და პროგრამის მე-8 ნაწილი მოიცავს სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემას.

პროგრამის შესახებ მიღებული ცოდნის შეფასება ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების - უმაღლესი განათლების პროგრამის კრედიტების გამოთვლის წესის შესაბამისად.

პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება უნდა მოიცავდეს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და შემაჯამებელ შეფასებას, რომლის ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და შემაჯამებელი შეფასებები (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარების ან/და კომპეტენციის შეფასების გზებს/მეთოდებს (წერიითი/ზეპირი გამოცდა, წერიითი/ზეპირი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და ა.შ.).

შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრაცია, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალება, გუნდში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, შემთხვევის გადაწყვეტა, იმიტირებული სასამართლო კონკურსებში მონაწილეობა და ა.შ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რის საფუძველზეც ხდება სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც შედის საბოლოო ქულაში (100 ქულა) და მითითებულია თითოეულ სილაბუსში. სტუდენტები ინფორმაციას

ამ ფორმების შესახებ სწავლების დასაწყისში იღებენ, რაც ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონულ ბაზაზე LMB.GIPA.GE.

პროგრამის მარეგულირებელი წესების თანახმად კრედიტების მინიჭება არ ხდება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან შემაჯამებელი შეფასების) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი მიენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების საფუძველზე.

სტუდენტის შეფასება შუალედურ და დასკვნით კომპონენტში დადებითად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ქულა არის კომპონენტის/კომპონენტების მაქსიმალური ქულის 30% და/ან მეტი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სილაბუსში – მაგალითად მოდულში (ქართულ ენაზე) კვლევის მეთოდების შესახებ ვკითხულობთ: „სტუდენტი ჩააბარებს შუალედურ და დასკვნით გამოცდას, თუ თითოეულ კომპონენტზე ქულა შეადგენს მაქსიმალური ქულის 20%-ს ან მეტს“, რაც არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით მოწოდებულ ინფორმაციას.

ასევე, როგორც ცალკეული სილაბუსი გვიჩვენებს, დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მაქსიმალური ქულის 30%-ია, ამიტომ, შესაძლოა, ბარიერის ამგვარად დაწესებამ გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედოს სტუდენტების სწავლის შედეგებზე.

შეფასების სისტემა შედგება ხუთი სახის დადებითი შეფასებისაგან: ა) (A) - ფრიადი – 91-100 ქულა ან მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; ც) (C) კარგი – 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი შრომა სჭირდება გამოცდის ჩასაბარებლად და მას მიეცემა შესაძლებლობა, ხელახლა ჩააბაროს გამოცდა დამოუკიდებლად მომზადების შემდეგ; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი.

საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე კომპონენტში (FX) შეფასების შემთხვევაში, უნივერსიტეტმა უნდა ჩაატაროს დამატებითი გამოცდა შემაჯამებელი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღეში. ეს ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციაზე, სამაგისტრო პროექტზე/თეზისზე ან სხვა სამეცნიერო პროექტზე/ნაშრომზე. შემაჯამებელ შეფასებაში სტუდენტისთვის მინიჭებული ქულები დამატებით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებულ შეფასებას არ ემატება. დამატებითი გამოცდის დროს მიღებული შეფასება შემაჯამებელია და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დასკვნით შეფასებაში 0-50 ქულის აღების შემთხვევაში, დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჩათვლით, სტუდენტის შეფასება იქნება F-0 ქულა.

საშუალო ქულის (GPA) გამოთვლა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის ნაწილია. სტუდენტის საშუალო ქულა (GPA) გამოითვლება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა საგანში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების ამ საგნის კრედიტებზე გამრავლებით. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა აღებული საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. ქულის ოდენობა საშუალო შეფასების გამოთვლაში არის: A = 4 B = 3, 2 C = 2, 4 D = 1, 6 E = 0,

დაწესებულებას ცალკე აქვს კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი. მასში დეტალურად არის აღწერილი კვლევის კომპონენტზე დაშვება, თემის რეგისტრაცია და ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დაცვის ტრანსფერი, პროცედურული, ტექნიკური პარამეტრები, დაცვა და შეფასება (ფორმა და კრიტერიუმები);

სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი

მუშაობის შედეგი. სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.

სამაგისტრო დისერტაციასთან ერთად, მაგისტრანტმა პროგრამის ხელმძღვანელს უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება სამაგისტრო ნაშრომის შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზე, რომ გაეცნო სამაგისტრო ნაშრომს და ის მზად არის საბოლოო შეფასებაზე წარსადგენად. ადმინისტრაციის წარმომადგენლები წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას პლაგიატზე შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ამოწმებენ. თუ სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატი არ დადასტურდა, ის გადაეგზავნება რეფერენტს შესაფასებლად. სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს სამაგისტრო ნაშრომის მიმდინარე სემესტრში დაცვის უფლებას და მასზე ვრცელდება უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან და შესაბამის პუბლიკაციებთან დაკავშირებული კვლევის გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობაა სტუდენტს მისცეს მიმართულება და რჩევები სამუშაოს გასაუმჯობესებლად. ხელმძღვანელი აკონტროლებს მაგისტრანტის მიერ კვლევის კომპონენტის შესრულებას. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ 90 კრედიტის დაგროვება; ერთ ადამიანს შეუძლია უხელმძღვანელოს ხუთამდე სამაგისტრო ნაშრომს. ამასთან, თანახელმძღვანელობის შემთხვევაში დასაშვებია არაუმეტეს რვა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

სამაგისტრო დისერტაციასთან დაკავშირებული წესები და რეგულაციები, მათ შორის პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები მისი აღმოჩენის შემთხვევაში, დეტალურადაა აღწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-7 თავში და სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სტუდენტების ელექტრონული ბაზა - LMB.GIPA.GE;

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უმჯობესი იქნება, თუკი დასკვნითი გამოცდის გადასალახი ზღვარი უფრო მაღალი იქნება.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	+
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტების შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა ცნობიერების მაქსიმალურ ამაღლებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

სტუდენტი იღებს შესაბამის კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ. დაწესებულების თანამშრომლები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შემუშავებული სისტემა „Lmb.gipa.ge“, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დარეგისტრირდნენ კურსებზე, განათავსონ და მიაწოდონ აკადემიური მასალა და სილაბუსები. აქვე მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ თავიანთ ქულებს და დაგროვებულ კრედიტებს. გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ წლის განმავლობაში იკონტაქტონ სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან და გააუმჯობესონ აკადემიური მიღწევები.

„ჯიპას“ ყველა სტუდენტს, ისევე როგორც აკადემიურ პერსონალს, აქვს უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართები. სასწავლო პროცესში სტუდენტს შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის, ვებგვერდისა და სტუდენტური პორტალის მეშვეობით.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი შეიცავს დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტში ჩარიცხვის, სწავლისა და საგანმანათლებლო გარემოს შესახებ, ასევე მარეგულირებელ დოკუმენტებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში, სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზებასა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში. მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს საკონსულტაციო მომსახურება, რაც დაეხმარება მათ განვითარებასა და სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევაში. გარდა ამისა, სტუდენტები უნდა იყვნენ ინფორმირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ შესაბამის ინდივიდუალურ კონსულტაციას და დამხმარე სერვისებს. სტუდენტებს აქვთ მხარდაჭერა კარიერის დაგეგმვაში და საკუთარი მიღწევის კარიერული წინსვლისთვის გამოყენებაში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალი ყოველთვის მზადაა მიიღოს ისინი და განიხილოს დისერტაციაზე მუშაობა თუ სხვა დავალებები. კონკრეტულ კურსზე კონსულტაციის საათი მითითებულია სილაბუსში და ასევე ნახსენებია ლექციებზე, ამიტომ სტუდენტებმა იციან ზუსტი დრო, როდის შეუძლიათ კონსულტაციის მიღება. თუმცა სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ პროფესორები ნებისმიერ დროს იღებენ მათ.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მეგობრულ გარემოს. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის არსებობს საზღვარგარეთ მობილობის გარკვეული შესაძლებლობები, თუმცა ისინი ამ შესაძლებლობებს იშვიათად იყენებენ. დაწესებულებაში ვიზიტის დროს მხოლოდ რამდენიმე სტუდენტმა დაადასტურა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ფაქტი.

დაწესებულებაში ვიზიტების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის წარმომადგენლები სისტემატურად ხვდებიან მათ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, ლექციის დაწყებამდე ან დანიშნულ დროს, რათა გააცნონ მიმდინარე მოვლენები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, ასევე მიიღონ უკუკავშირი სტუდენტებისგან.

სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში და კვლევით სტიპენდიებში; გარდა ამისა, დაწესებულებაში ვიზიტისას აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი ფინანსურად უჭერს მხარს მათ მობილობას. უნივერსიტეტი მოუწოდებს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში. ზოგიერთმა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ მათ უკვე მიიღეს მონაწილეობა კვლევით კონფერენციებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ასევე საჭიროა უფრო მეტად შეეწყოს ხელი სტუდენტების მიერ საერთაშორისო მობილობის გამოყენებას.

შუალედური შეფასებები სტუდენტებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან უკუკავშირს, თუ როგორ უნდა აკმაყოფილებდნენ კრიტერიუმებს და გაუმჯობესების რა შესაძლებლობები აქვთ. სტუდენტები დროულად იგებენ საგამოცდო ნაშრომების ნიშნებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრების პროცედურას. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები, როგორც წესი, არ ჩივიან, აღნიშნული პროცედურა მათთვის მაინც ცნობილია. უნივერსიტეტი ყურადღებას აქცევს სტუდენტების პოზიციებსა და ინიციატივებს და ითვალისწინებს მათ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პერიოდულად ტარდება გამოკითხვები სასწავლო კურსებთან და ლექტორებთან დაკავშირებით; კითხვარები არის ანონიმური და ნებაყოფლობითი.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და ამ მიზნით, გაფორმებულია მემორანდუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების შემდგომ პროფესიულ განვითარებას სტაჟირებისა და მოკლევადიანი სასწავლო კურსების მეშვეობით. სტუდენტური სერვისების განხორციელების მაქსიმალური ეფექტურობისთვის, ჯიპაში შეიქმნა სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ფუნქციაც არის კოორდინაცია სტუდენტებს, სკოლის შესაბამის ადმინისტრაციასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის. ცენტრი ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას პერსონალისა და კოორდინატორების ჩართულობით. თუმცა, სტუდენტები აქტიურად არ მონაწილეობენ ცენტრის საქმიანობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ხელი შეეწყოს საერთაშორისო მობილობის უფრო მეტად გამოყენებას;
- პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო/ადგილობრივ სამედიცინო/სამეცნიერო ღონისძიებებში;

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სწორად განხორციელების საშუალებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ამ კუთხით პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. ყველა დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა, ერთზე მეტი, რომელთაც აქვთ ნაშრომის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევს მოცემულ დარგში შესაბამისი გამოცდილების მქონე კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. ხელმძღვანელობის პროცესი და ხელმძღვანელის კვალიფიკაცია რეგულირდება სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის,

განხორციელების და შეფასების წესით, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს. სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევით კომპონენტს ახორციელებენ სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტით გათვალისწინებულ პირობებს და აგროვებენ ყველა შესაბამის კრედიტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ყველა სავალდებულო საგანში. უნდა აღვნიშნო, რომ ხელმძღვანელებისთვის არის სავალდებულო წესი - ერთმა ადამიანმა შეიძლება უხელმძღვანელოს ხუთამდე სამაგისტრო ნამუშევარს. ამასთან, თანახელმძღვანელობის შემთხვევაში ნებადართულია არაუმეტეს რვა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

ხელმძღვანელები მზად არიან მხარდაჭერისა და შესაბამისი უკუკავშირისთვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ პირადად მიიღონ უკუკავშირი. სტუდენტები აკადემიური პერსონალისგან იღებენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს მათი შეფასებების თაობაზე. სტუდენტებსა და ლექტორებს ხშირად აქვთ ვირტუალური კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტით და სტუდენტური პორტალით. სამეცნიერო ხელმძღვანელს აქვს სტუდენტებთან მჭიდრო კომუნიკაცია ნაშრომზე მუშაობის პროცესში. სტუდენტებს საშუალება აქვთ ხელმძღვანელთან ერთად განიხილონ ნაშრომის მომზადების თითოეული ეტაპი. ჯერ ხდება თემის სათაურის, შემდეგ კი სტრუქტურის, შინაარსისა და სხვ. შეთანხმება. დისერტაციაზე ინდივიდუალური მუშაობის დროს სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ კონსულტაცია ხელმძღვანელებთან (სიხშირე დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე). საბოლოო ეტაპი არის დისერტაციის დაცვა. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს იცავს საჯაროდ, რომლის დროსაც წარადგენს შესრულებული სამუშაოს შედეგებს. სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა მათ საშუალებას აძლევს სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	9
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	28
თანაფარდობა	3.1

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- სამაგისტრო ნაშრომების სია.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
--	------------------------------	---

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
